ხელშეკრულება №21-19/11

ქ. თბილისი 25 იანვარი 2021 წ.

ერთის მხრივ სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯეოკონტაქტი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გოგი ხარებავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის და „სსიპ „გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტისთვის" სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 21 იანვრის N132 განკარგულების (SMP210000074) საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთ მხრიდან მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით შემსყიდველის ფეთქებადი მასალების მიწისქვეშა საწყობის და ამფეთქი კამერის (სავენტილაციო არხების გამოსასვლელების ჩათვლით), მექანიკური საამქროს და ავტოფარეხების, აგრეთვე საკონფერენციო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიების (1950 მ^2) დაცვის მომსახურების შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი მოცემულია დანართებში №1 და №2 (ტექნიკური დავალება და დასაცავი ტერიტორიის გეგმა), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3.3. კლასიფიკატორის კოდი - 79713000.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს <u>2000,00 (ორი ათასი) ლარს</u> დღგ-ს ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის ფასი მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (დღგ-ს ჩათვლით).

4.3. ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განახროციელებს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი რობერტ სამადაშვილი.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

5.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები.

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია - სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7.

6.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება 2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

6.3. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების პირობებით, მოქმედი კანონმდებლობის, სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო წინადადებისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს მომსაუხრების გაწევის შემდეგ.

7.2. შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტში სულ მცირე მითითებული უნდა იყოს:

- გაწეული მომსახურების დასახელება;
- გაწეული მომსახურების ღირებულება;
- გაწეული მომსახურების მოცულობა.

7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს მოაწერს შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

8.2. ანგარიშსწორების ადგილია ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7.

8.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწიებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

8.4. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთვის მიმწოდებელი წარმოადგენს ანგარიშ-ფაქტურას. ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები უნდა იყოს გაწეული მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით.

8.5. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მირება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.6. დაფინანსების წყარო - 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. " შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

9.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10. მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1. გაწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

10.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკური დავალების შესაბამისად.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება არ შეესაბამება მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

10.4. მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე ხელშეკრულებისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად უზრუნველყოს ობიექტის დაცვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში დღე-ღამეში 24 საათი.

10.5. უზრუნველყოს შემსყიდველთან შეთანხმებული საშვთა რეჟიმის კონტროლი და არ დაუშვას ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება.

10.6. სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას აღმოჩენილი მართალსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს "შემსყიდველს" და მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

10.7. არაჯეროვნად, ან არაკეთილსინდისიერად გაწეული მომსახურების შედეგად, "შემსყიდველისადმი" მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღურება მოახდინოს მისი დადგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება საბაზრო ღირებულების მონაცემებიდან გამომდინარე მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს მიერ.

10.8. დაცვის ობიექტზე თავდასხმის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დროს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა დანაშაულის აღსაკვეთად, კანონდამრღვევი ეჭვმიტანილი პირის დასაკავებლად და მისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადასაცემად.

10.9. არაუფლებამოსილი პირის მოთხოვნით ან თვითნებურად არ გააღოს დაცვის ობიექტზე დაკეტილი ან დალუქული სათავსო და არ შეასრულოს დაცვის ობიექტზე ის სამუშაოები რაც არ განეკუთვნება დაცვითი საქმიანობის სფეროს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირს.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი აფრთხილებს და

მიუთითებს დარღვევის შესახებ. განმეორების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს მასთან ხელშეკრულება.

13.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.2. მხარე ვალდებულია, 14.1 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.4. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

14.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს მომსახურება ან მომსახურების ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.7. ზემდგომი ან მაკონტროლებელი ორგანოს გადაწყვეტილების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან. ამ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია ერთი თვით ადრე აცნობოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა. იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან

17.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი გზავნილი უნდა მოხდეს ფოსტის საშუალებით ან დედნის უშუალო ჩაბარებით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის ელ. ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17.3. იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართის ან საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით აცნობებონ ერთმანეთის ამის შესახებ.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

19. სხვა პირობები

19.1. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან

და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	შპს "ჯეოკონტაქტი"
ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7 ს/კ: 204 862 247 ტელ.: 232-91-16; 232-47-16 ელ. ფოსტა: tmi@mining.org.ge სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 708727228	ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №21 ს/კ: 205 207 373 ტელ.: 568-33-38-38 ელ. ფოსტა: geocontactsafe@gmail.com სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE22 TB733 4836 0201 00001
დირექტორი:	დირექტორი:
---------- ნ. ჩიხრაძე	---------- გ. ხარებავა

LEPL Grigol Tsulukidze Mining Institute
Digitally signed by LEPL Grigol Tsulukidze Mining Institute
Date: 2021.01.26 09:43:34 +04'00'

LTD GEOCONTACT
Digitally signed by LTD GEOCONTACT
Date: 2021.01.28 12:35:30 +04'00'

ხელშეკრულება №21-19/11 (25.01.2021)

დანართი №1

ტექნიკური დავალება

1. დაცვის მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, ე. მინდელის ქ. №7-ში მდებარე სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინტიტუტის ინტიტუტის ფეთქებადი მასალების მიწისქვეშა საწყობის და ამფეთქი კამერის (სავენტილაციო არხების გამოსასვლელების ჩათვლით), მექანიკური საამქროს და ავტოფარეხების, აგრეთვე საკონფერენციო დარბაზის მიმდებარე ტერიტორიების (1950 მ²) (დანართში N2 წარმოდგენილი გეგმის მიხედვით).
2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დასაცავ ტერიტორიაზე საფრთხის აღმოჩენა და აღმოფხვრა, წესრიგის, პერსონალის სიცოცხლის და ჯანმრთელობის, მოძრავი და უძრავი ნივთის, ცალკეული ღონისძიებების უსაფრთხოების დაცვა დაცვითი მომსახურების გეგმის შესაბამისად.
3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დაცვის ობიექტებზე წესრიგის, უსაფრთხოების და ფასეულობების დაცვა 24 საათის განმავლობაში.
4. დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად მიმწოდებელმა დაცვის ობიექტზე უნდა გამოყოს ცვლაში არანაკლებ 2 (ორი) მცველი.
5. დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად მიმწოდებელმა დაცვის ობიექტის თითოეულ ზონაში (სულ 2 ზონა - 1. ფეთქებადი მასალების მიწისქვეშა საწყობის და ამფეთქი კამერის (სავენტილაციო არხების გამოსასვლელების ჩათვლით) ტერიტორია და 2. მექანიკური საამქროს და ავტოფარეხების, აგრეთვე საკონფერენციო დარბაზის მიმდებარე ტერიტორია) უნდა გამოყოს ცვლაში არანაკლებ 1 (ერთი) მცველი.
6. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დაცვის ობიექტებზე დამონტაჟებული სიგნალიზაციის სისტემის გამართულად ფუნქციონირება და მომსახურება.
7. საგუშაგო უნდა იმყოფებოდეს დაცვის სამსახურის ცენტრალურ პულტთან უწყვეტი ურთიერთ კავშირის რეჟიმში.
8. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით აღჭურვილი მობილური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც შეტყობინებიდან მაქსიმუმ 20 წუთში უნდა გამოცხადდეს ადგილზე.
9. მიმწოდებლის თითოეული მცველი გამოწყობილი უნდა იყოს სათანადო უნიფორმაში და აღჭურვილი უნდა იყოს დაცვის საშუალებებით (არანაკლებ - ხელბორკილი, ხელკეტი, ელ. შოკი, ხელის ფარანი, დისტანციური რაცია, მობილური ტელეფონი).
10. მომსახურება უნდა განხორციელდეს 2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი	შპს "ჯეოკონტაქტი"
ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №7	ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №21
ს/კ: 204 862 247	ს/კ: 205 207 373
ტელ.: 232-91-16; 232-47-16	ტელ.: 568-33-38-38
ელ. ფოსტა: tmi@mining.org.ge	ელ. ფოსტა: geocontactsafe@gmail.com
სახელმწიფო ხაზინა	სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
სახაზინო კოდი: 708727228	ა/ა: GE22 TB733 4836 0201 00001
დირექტორი:	დირექტორი:
---------- ნ. ჩიხრაძე	---------- გ. ხარებავა

LTD GEOCONTACT

Digitally signed by LTD GEOCONTACT
Date: 2021.01.28 12:36:23 +04'00'

დასაცავი ტერიტორიტორიის გეგმა

მასშტაბი 1:1000